

GC აღმანახი

№9 / სექტემბერი, 2020 წ.



სარჩევი

ზელინსკიმ უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგია დაამტკიცა.....	3
ჩინეთმა გაეროს მისიებში მისი შეიარაღებული ძალების მონაწილეობის შესახებ თეთრი წიგნი გამოაქვეყნა	4
გაეროს გენერალური ასამბლეის 75-ე სესია: გენერალური დებატების შეჯამება.....	5
საქართველო-ევროკავშირის დღევანდელი დღის წესრიგი და ევროპული პერსპექტივა.....	9
2020 წლის მდგომარეობის შეჯამება - როგორი იქნება ახალი თაობის ევროკავშირი?	12
როგორ იცავენ კანონის უზენაესობას ევროკავშირის ქვეყნები? - ევროკომისიამ, წელს პირველად, შეფასებითი სახის ანგარიში გამოაქვეყნა.....	14

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

ზელისნკიმ უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგია დაამტკიცა



14 სექტემბერს უკრაინის პრეზიდენტმა, ვლადიმირ ზელისნკიმ ქვეყნის ახალი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია დაამტკიცა.

სტრატეგია აფიქსირებს უკრაინის სწრაფვას მშვიდობისაკენ, რომლის უმთავრესი სოციალური ღირებულება ადამიანია, მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ღირსება, ხელშეუხებლობა და უსაფრთხოება.

დოკუმენტი ეროვნული უსაფრთხოების სფეროში სამ ძირითად პრინციპზეა ორიენტირებული. ესენია:

- შეკავება - უკრაინის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის შესაკავებლად თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება;
- მდგრადობა - სახელმწიფოსა და საზოგადოების უნარი მოახდინოს სწრაფი ადაპტირება ეროვნული უსაფრთხოებისა გარემოს ცვლილებებთან და უზრუნველყოს ქვეყნის მყარი ფუნქციონირება საშინაო და საგარეო რისკების შემცირების გზით;
- ურთიერთქმედება - სტრატეგიული ურთიერთობების განვითარება უმთავრეს საგარეო პარტნიორებთან, პირველ რიგში ევროკავშირთან, ნატოს წევრ

სახელმწიფოებთან და აშშ-თან. უკრაინის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, პრაგმატული ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ეროვნული ინტერესების პრიორიტეტებად განსაზღვრულია:

- დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა;
- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;
- ადამიანური კაპიტალის განვითარება;
- უფლებების, თავისუფლებებისა და უკრაინის მოქალაქეების ინტერესების დაცვა;
- ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია;

სტრატეგიაში ასევე გათვალისწინებულია ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში უკანასკნელი ცვლილებები, რომელიც დაკავშირებულია მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან და კოვიდ-19-ის გლობალურ პანდემიასთან. ასევე, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების გამოწვევების მაღალი რისკი.

სტრატეგია წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს სხვა სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტების შემუშავებისათვის.

ჩინეთმა გაეროს მისიებში მისი შეიარაღებული ძალების მონაწილეობის შესახებ თეთრი წიგნი გამოაქვეყნა

ჩინეთმა რამდენიმე დღის წინ თეთრი წიგნი გამოაქვეყნა, რომელიც მისი შეიარაღებული ძალების გაეროს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობას ეხება.

თეთრი წიგნის სათაურია: „ჩინეთის შეიარაღებული ძალები: 30 წელი გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში“. აღნიშნული დოკუმენტი სახელმწიფო საბჭოს საინფორმაციო ოფისის მიერ იქნა გამოქვეყნებული.

დოკუმენტის მიხედვით, ჩინეთის შეიარაღებული ძალები უმთავრესი ძალა იყო გაეროს სამშვიდობო მისიებში ბოლო წლების განმავლობაში.

ჩინელი მშვიდობის მყოფელები აღნიშნულ წლებში ოცზე მეტ ქვეყანაში მიმდინარე ოპერაციებში მიიღეს მონაწილეობა. მათ შორის არის: კამბოჯა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ლიბერია, სუდანი, ლიბანი, კვიპროსი, სამხრეთ სუდანი, მალი და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა.

დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ჩინეთმა გაეროს სამიტზე გამოცხადებული ვალდებულებები პირნათლად შეასრულა საერთაშორისო მისიებთან მიმართებაში. მათ

შორის, მუდმივმოქმედი სამშვიდობო კონტიგენტის ჩამოსაყალიბებლად, მისიებში მეტი ძალების გაგზავნის კუთხით და უცხოელი სამხედროების სამშვიდობო მისიებისათვის მომზადების თვალსაზრისით. ასევე, აფრიკის კავშირისათვის უფასო სამხედრო დახმარების მიწოდების კუთხითაც.

თეთრი წიგნის მიხედვით, ჩინეთმა აღნიშნულ წლებში, 90-ზე მეტ ქვეყანასთან ითანამშრომლა სამშვიდობო მისიების კუთხით და 10 საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციასთან.

დოკუმენტი ასევე შეიცავს ჩინეთის შეიარაღებული ძალების სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის ამსახველ გრაფიკს.

ჩინეთი, დოკუმენტის მიხედვით, მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს გაეროს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობას.

ოლეგ (ბაჩო) თორთლაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

გაეროს გენერალური ასამბლეის 75-ე სესია: გენერალური დებატების შეჯამება



2020 წლის 21 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 75-ე სესია გაიხსნა, რომელიც სრულიად განსხვავდება აქამდე ჩატარებული ყველა სხდომისგან. პანდემიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გავლენა იქონია სესიის ფორმატზეც და ქვეყნების ლიდერებს

საკუთარი გამოსვლის ვიდეო ვერსიის ჩაწერა და დისტანციურად გაზიარება მოუხდათ. გენერალურ დებატებზე არა ერთი საინტერესო გზავნილი გაჟღერდა, რომლებიც მნიშვნელოვანია, როგორც გლობალური უსაფრთხოების კონტექსტში, ასევე, საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის ახლებური გააზრების კუთხით. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ყველა მიმართვაში ერთ-ერთი მთავარი აქცენტი კოვიდ 19-თან დაკავშირებულ საკითხებზე გაკეთდა, სახელმწიფოს ლიდერებმა აღნიშნეს, როგორც მათი ქვეყნის შიგნით ვირუსთან ბრძოლაში არსებული მიღწევები, ასევე, საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით არსებული გამოწვევები. ფორმატის გამო შეუძლებელია ყველა ქვეყნის მეთაურის გამოსვლის ანალიზი, ამდენად, დიდი ხუთეულის სახელმწიფოების მიმართულების შეფასებას დავჯერდი, რამეთუ უშიშროების მუდმივი წევრი ქვეყნების პოზიციები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გაეროს შემდგომ ნაბიჯებსა, თუ განვითარების მომავალს.

შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიმართვა მკაფიო სიგნალებითა და აგრესიული გზავნილებით გამოირჩეოდა, დონალდ ტრამპმა კოვიდ 19-ის გავრცელებაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, მორიგ ჯერზე, ღიად დაადანაშაულა; ასევე, მან ბრალი დასდო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას ვირუსის არაეფექტურ პრევენციასა და ჩინეთის გავლენებზე დაქვემდებარებაში. პრეზიდენტმა ტრამპმა ჩინეთის მიმართულებით ასევე გააჟღერა ბრალდება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების კონტექსტში. საინტერესოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურმა გაეროს ჩინეთისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისკენაც მოუწოდა. გაერთიანებული ერების სისტემის გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც შეერთებული შტატებიც და ჩინეთიც უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლებით სარგებლობენ, ბუნდოვანია, თუ პასუხისმგებლობის რა მექანიზმებს გულისხმობდა პრეზიდენტი ტრამპი. ლოგიკურია, თუ ვივარაუდებთ, რომ ამ განცხადებას უფრო დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე პრაქტიკული დატვირთვა. ცალკეულ რეგიონებზე ყურადღების გამახვილებისა და ვაქცინის შექმნის პროცესში მიღწეული პროგრესის აღნიშვნის მიუხედავად, პრეზიდენტის სიტყვიდან ნაკლებად იკითხებოდა გლობალური ლიდერის ფუნქციის ფართოდ რეალიზების მზაობა, რაც შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური ხაზიდან გადახვევის სამწუხარო მაგალითია. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოყალიბებულ გლობალურ წესრიგში, აშშ-ის, როგორც უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი მუდმივმოქმედი წევრის როლი ყოველთვის გამორჩეული და წამყვანი იყო, თუმცა უკანასკნელ ოთხ წელში ამერიკის პოლიტიკის ძირითადმა ფოკუსმა შიდა საკითხებისკენ გადაინაცვლა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვა შეერთებული შტატების ლიდერის გამოსვლისგან ფუნდამენტურად განსხვავდებოდა. ძირითადი გზავნილები შეეხებოდა: კოვიდ 19-ის წინააღმდეგ ეფექტიანად საბრძოლველად სახელმწიფოთა გლობალური კოოპერაციის გაძლიერების მნიშვნელობას, ჯანმრთელობის დაცვის

მსოფლიო ორგანიზაციის როლის ზრდას კოვიდ 19-თან ბრძოლაში, 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტიანად განხორციელებაში განვითარებადი ქვეყნების დახმარებას, გლობალური ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის უზრუნველყოფას, გარემოს დაცვითი მექანიზმების გაძლიერებასა და გლობალური მმართველობის არსებული სისტემის რეფორმირებას. საინტერესოა, რომ ჩინეთის მეთაურის სიტყვა ორიენტირებული იყო საერთაშორისო მშვიდობის დაცვასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, გლობალურად რესურსების კონსოლიდაციასა და განვითარების ხელშეწყობაზე, რაც პანდემიის პოლიტიკური კონტექსტის ფონზე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური ვექტორების გაფართოების მიმანიშნებელია.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის გამოსვლისას ძირითადი აქცენტები გაკეთდა: პანდემიის ფონზე, იზოლირების პოლიტიკის თანამდევ უარყოფით ასპექტებზე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერის, გლობალური მიწოდების არსებული ჯაჭვების დაცვისა და ღია საბაზრო ეკონომიკის შენარჩუნების მნიშვნელობაზე, ვაქცინის შექმნისა და გავრცელების მიმართულებით სახელმწიფოთა თანამშრომლობის აუცილებლობაზე. ბრექსიტის შემდეგ, დიდი ბრიტანეთის გზავნილებში სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის კრიტიკულობაზე ხაზგასმა შესაძლოა ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის ახლებურად გააზრების ერთ-ერთი მტკიცებულებაც იყოს. პრემიერ ჯონსონის მიერ კოვიდ 19-თან ბრძოლის მხრივ დიდი ბრიტანეთის განსაკუთრებულ როლზე აქცენტირება, გლობალური წესრიგის რეკონსტრუქციის პროცესში, მსოფლიო ლიდერის პოზიციის დაკავების ერთგვარ მცდელობადაც შეიძლება შეფასდეს.

საფრანგეთის მეთაურის გამოსვლაში დიდი დრო დაეთმო კოვიდ 19-ის გავრცელების ეფექტზე საუბარს, პრეზიდენტმა მაკრონმა საუბრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო გლობალური მმართველობისა და გლობალური უსაფრთხოების არსებული სისტემების რეფორმირებაზე საუბარს და აღნიშნა, რომ დღეს არსებული სტატუს-კვო მოძველებულია და ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. მან ხაზი გაუსვა საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინირებული მოქმედების როლს და ამ მიმართულებით, პანდემიასთან ბრძოლის დროს, ევროკავშირის ერთობის მაგალითი მოიყვანა. მაკრონმა მასობრივი განადგურების იარაღის შეზღუდვის აუცილებლობაზე, ირანისა და ჩრდილოეთ კორეის ბალისტიკურ აქტივობებზე სათანადო რეაგირების საჭიროებაზე გააკეთა აქცენტი. გამოსვლაში ხაზი ასევე გაესვა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ყურადღების მობილიზების კრიტიკულობას. საგულისხმოა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის სიტყვაში მოხვდა რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის, ალექსანდრე ნავალნის მოწამვლის ფაქტიც და აღინიშნა რუსეთის ფედერაციის მოქმედებების მძიმე შედეგები.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის გამოსვლაში აქცენტი გაკეთდა სახელმწიფოთაშორისო კომუნიკაციის მნიშვნელობაზე, როგორც გაეროს დაფუძნების

ერთ-ერთ საკვანძო იდეაზე. პრეზიდენტმა პუტინმა ვრცლად ისაუბრა უშიშროების საბჭოს რეფორმირების აუცილებლობაზე და მისი გამოსვლის სულისკვეთების ანალიზი, გვაფიქრებინებს, რომ, დეკლარაციულ დონეზე, რუსეთი მუდმივი წევრების რაოდენობის გაზრდის მომხრეა. ხაზი გაესვა საერთაშორისო სანქციებისგან თავისუფალი, ე.წ. მწვანე სავაჭრო დერეფნის შექმნის აუცილებლობას. აღნიშნული შეთავაზების მიღმა იკითხება საერთაშორისო აქტივობებისთვის გადასახდელი პოლიტიკური ფასის მიტიგაციის სურვილი. პუტინმა ხაზი გაუსვა ციფრული ტექნოლოგიების უკონტროლო გავრცელების რეგულირების აუცილებლობას; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, როგორც მთავარი მაკოორდინირებელი ორგანოს ინსტიტუციური გაძლიერების საჭიროებას; ასევე, პარიზის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების მნიშვნელობას.

დიდი ხუთეულის ლიდერების შეფასებებში საერთო გზავნილი, რომელიც ცხადად იკითხება გლობალური მართლწესრიგის სისტემის არსებული ფორმის ცვლილების საჭიროებაა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილი ორგანიზაცია, მნიშვნელოვან ბარიერებს აწყდება აღმასრულებელი გადაწყვეტილებების მიღებისას, რაც მის ეფექტურობას ძირეულად ზიანს აყენებს. საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის ეგიდით შექმნილი გაერთიანება, ინტერესთა დრამატული განსხვავებულობისა და ეროვნული ინტერესების პრიორიტეტულობის გამო, ხშირად ვერ პასუხობს გლობალურ გამოწვევებს. 1990-იან წლებში არა ერთხელ გაჟღერდა უშიშროების საბჭოს რეფორმირების იდეა, თუმცა იდეა შეთავაზებად დარჩა არასაკმარისი პოლიტიკური ნების გამო. რეფორმის საჭიროებაზე უნისონში საუბარი შედარებით ახალი მოვლენაა და ერთი შეხედვით, არსებული სისტემის ცვლილების იმედებს უნდა აჩენდეს. მაგრამ, დიდი ხუთეულის ინტერესების შეუთანხმებლობისა და კოორდინაციის დაბალი ხარისხის გათვალისწინებით ნაკლებად სავარაუდოა უახლოეს მომავალში ფუნდამენტური ცვლილებები ვიხილოთ.

პროფ. ხათუნა ბურკაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

საქართველო-ევროკავშირის დღევანდელი დღის წესრიგი და ევროპული პერსპექტივა



<https://www.euneighbours.eu/en/east/stay-informed/news/eu-and-georgia-adopt-revised-association-agenda>

29-30 სექტემბერს საქართველოს მთავრობის ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან, შარლ მიშელთან, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტთან ჟოზეფ ბორელთან და ევროკავშირის სხვა მაღალი რანგის წარმომადგენლებთან.

ვიზიტის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთვის ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვანია დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, საქართველოს სტრატეგიული როლის მეტად გამოკვეთა და შესაბამისად, საკომუნიკაციო, სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესება. საქართველოს, როგორც შავი ზღვის რეგიონის ქვეყანას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ევროპის ალტერნატიული სატრანსპორტო და საკომუნიკაციო შესაძლებლობების შექმნაში, რისთვისაც სასურველია ევროკავშირთან დარგობრივი თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად განვითარება.

მხარეებმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება განიხილეს. ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისადმი და ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკისადმი ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ევროკავშირის მაღალი რანგის წარმომადგენლებმაც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს 31 ოქტომბერს საქართველოში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე. ასევე, მხარეებმა საარჩევნო რეფორმის მნიშვნელობასა და საქართველოს კონსტიტუციაში, საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე ისაუბრეს.

კორონავირუსის პანდემიის დაძლევის მიზნით, ევროკავშირმა საქართველოს მიმართ კვლავ გამოხატა სოლიდარობა. კერძოდ, ბრიუსელის ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა ხელი მოაწერეს ორ შეთანხმებას 129 მილიონი ევროს ოდენობის დაფინანსების შესახებ. ევროკავშირის აღნიშნული გადაწყვეტილება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დადასტურებაა იმისა, რომ იგი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია როგორც კრიზისის, ისე მშვიდობიან პერიოდში. ევროკავშირის დახმარების მიზანია საქართველომ შეძლოს COVID 19-ის შედეგად წამოქნულ გამოწვევებთან გამკლავება, მათ შორის ეკონომიკისთვის მიყენებული ზიანის შემსუბუქება.

ამასთანავე, მხარეებმა საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ლეგალურად დასაქმების შესაძლებლობები განიხილეს.

გასული კვირა ევოინტეგრაციის კონტექსტში საინტერესო იყო არა მხოლოდ ბრიუსელში გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე, არამედ საქართველოს პარლამენტმა შრომის კოდექსში შეიტანა ცვლილებები და მიიღო შრომის ინსპექციის შესახებ კანონი. საქართველოს კანონი „შრომის ინსპექციის შესახებ“ განსაზღვრავს შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის ძირითად პრინციპებს და შესაბამისად, ეხება შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს. საქართველოში შრომის პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით მიღებული გადაწყვეტილება ხელს უწყობს საქართველოს შრომის კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან გარკვეულწილად დაახლოებას და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. შრომის რეფორმის გასაგრძელებლად აუცილებელია შრომის ინსპექციის სამსახურის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება და სათანდო ფინანსური რესურსის გამოყოფა.

ამასთანავე, 1 და 2 ოქტომბერს ბრიუსელში გაიმართა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერთა შეხვედრა და მიიღეს დოკუმენტი, რომელიც ეხება საერთაშორისო არენაზე მიმდინარე რთულ პროცესებს, მათ შორის გლობალური კრიზისით გამოწვეულ სირთულეებს.

ევროპული საბჭოს ფარგლებში მიღებული დოკუმენტი განიხილავს საბერძნეთ-თურქეთის ურთიერთობებს და მიესალმება იმ ნაბიჯებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ნდობის აღდგენას. ბელარუსის კრიზისთან დაკავშირებით ევროკავშირი გმობს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას. ევროპული საბჭო მოუწოდებს ევროკომისიას მოამზადოს ყოვლისმომცველი

ეკონომიკური მხარდაჭერის გეგმა დემოკრატიული ბელარუსისთვის. დოკუმენტში ასახულია ევროკავშირის ლიდერებსა და ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინის 14 სექტემბრის შეხვედრის შედეგები და ყურადღება გამახვილებულია სი ძინპინის განცხადებაზე, რომ ჩინეთი 2060 წლამდე გეგმავს მიაღწიოს ნახშიროჟანგის ემისიის მინიმუმამდე დაყვანას. დოკუმენტში საუბარია ყარაბაღში ვითარების გამწვავებაზე. ამასთანავე, იგი შეეხება ალექსეი ნავალნის მკვლელობის მცდელობის საქმეს. საკითხთა ეს ჩამონათვალი მიანიშნებს, რომ საერთაშორისო სისტემა არაერთი გამოწვევის წინაშე დგას და საჭიროა გადაწყვეტის შესაბამისი გზების მოფიქრება. მით უფრო, გლობალური კრიზისის პირობებში კიდევ ერთხელ დავინახეთ ცვლილებების, გარდაქმნის აუცილებლობა.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ კოვიდ 19-მა აჩვენა ციფრული ტრანსფორმაციის აუცილებლობა, რაც მოითხოვს ახალი შესაძლებლობების შექმნას, რათა ეკონომიკა განვითარდეს. ამასთანავე, საუბარია ევროკავშირის კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების გაძლიერებაზე იმისათვის, რომ რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია კიბერ საფრთხეებს გაუმკლავდეს. ასევე, დოკუმენტი წევრი ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებში ციფრული უნარების განვითარებაზე ყურადღებას ამახვილებს.

რაც შეეხება საქართველოს ევროპულ პერსპექტივას, ევროინტეგრაციის გზაზე 2021 წლის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტი უნდა გახდეს გარდამტეხი ეტაპი საქართველოს მეტი პოლიტიკური ამბიციის გამოსაკვეთად და პრინციპის „მეტი მეტისთვის“ გასავითარებლად, რაც გულისხმობს ინტეგრაციის მეტი შესაძლებლობების მიცემას იმ ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, რომლებიც მეტს აკეთებენ ევროკავშირთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

საქართველომ ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად, რაც ჩვენგან მოითხოვს მეტ ინოვაციურ რეფორმას ყველა საკვანძო მიმართულებით, თუმცა ეს უნდა შეეძლოს. ამავდროულად, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია მიიღოს პოლიტიკური დაპირება, რომ წევრობის შესაბამისი პროცედურების დაწყებისა და წარმატებით განხორციელების შედეგად შეძლებს გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი. დემოკრატიული, სტაბილური და განვითარებული საქართველოს გზა ნატოსა და ევროკავშირზე გადის, რასაც ალტერნატივა არ აქვს.

ლიკა ჭიპაშვილი, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

2020 წლის მდგომარეობის შეჯამება - როგორი იქნება ახალი თაობის ევროკავშირი?



ფოტო: @AFP

16 სექტემბერს, ევროპული კომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი, ყოველწლიური მოხსენების ფარგლებში, სიტყვით [წარსდგა](#) ევროპარლამენტარების წინაშე, სადაც მან ევროკავშირის 2020 წლის მდგომარეობა შეაჯამა და ე.წ. *ახალი თაობის ევროკავშირის* მომავალზეც ისაუბრა.

პროფესიით ექიმმა, მედიცინის დოქტორმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა თავის მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ე.წ. *ჯანდაცვის ევროპის* განვითარებაზე, რაც გულისხმობს, უწინარესად, ჯანდაცვის მიმართულეებით ბიუჯეტის ზრდას, სპეციალიზირებული პროგრამის - „EU4Health“-ის შემუშვებას, ჯანდაცვის სფეროში უკვე არსებული ევროპული დაწესებულებების გაძლიერებას, აგრეთვე, ახალი სააგენტოს შექმნას ერთიან ევროპულ დონეზე.

პანდემიის პოსტ-კრიზისულ პერიოდთან გასამკლავებლად, ევროკომისიის პრეზიდენტმა თავის მოხსენებაში, ასევე, აღნიშნა გაერთიანების *სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულობა*, რაც უმთავრესად, დაეფუძნება ციფრული საჯარო მმართველობისა და ციფრული განათლების სისტემის გაძლიერებას, ასევე, მწვანე ეკონომიკის განვითარებას.

ამასთან, ევროპარლამენტში გამოსვლისას ურსულა ფონ დერ ლაიენმა ხაზგასმით აღნიშნა *კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ზომების მიღების აუცილებლობა*, რომლის ძალიან კარგი წინაპირობა, სხვათაშორის, უკვე არსებობს ევროკავშირში. მაგალითად, ევროპული გაერთიანების მომავალი - [2021-2027 წლების ბიუჯეტის](#) 30% სწორედ გარემოსდაცვითი საკითხების მიმართულებით იქნება წარმართული. აღნიშნული უპრეცედენტო შეთანხმების ფარგლებში, რომელიც ევროკავშირის 27-ვე წევრი ქვეყნის ლიდერს შორის მიმდინარე წლის ივლისში შედგა, ევროკავშირის ისტორიაში პირველად იქნა განსაზღვრული მისი მთლიანი ბიუჯეტის ასეთი დიდი მოცულობითი წილი სწორედ გარემოსდაცვითი საკითხების მიმართულებით.

სიტყვით გამოსვლისას ევროპული კომისიის პრეზიდენტმა *„ძველ მეგობრებთან ურთიერთობის ახალ დასაწყისსაც“* გაუსვა ხაზი და აშშ-თან ახალი ტრანსატლანტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბებისა და *გაერთიანებულ სამეფოსთან „ბრექსიტის“* შემდგომი - ნდობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული საბოლოო შეთანხმების მიღწევის იმედიც გამოთქვა.

ურსულა ფონ დერ ლაიენმა რუსეთის ფედერაციის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გადაგმის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება და ე.წ. *„ევროპული მაგნიტსკის აქტის“* შექმნა დაანონსა, როგორც ეფექტური მექანიზმი ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის პრევენციისა. *„მათ ვინც, მხარს უჭერს რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირს, ვეტყვი, რომ ალექსეი ნავალნის მოწამლვა ქიმიური აგენტით არ არის გამონაკლისი შემთხვევა. ჩვენ ვიხილეთ დამახასიათებელი ქმედებები საქართველოში, უკრაინაში, სირიასა და სოლსბერიში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არჩევნებში ჩარევა. ეს ქმედებები არ იცვლება და არანაირი გაზსადენი არ შეცვლის ამას“*; - განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა.

ევროპის პარლამენტში ევროკომისიის პრეზიდენტის ყოველწლიურ გამოსვლას, ევროკავშირის მდგომარეობის შეჯამების მიზნით, საფუძველი 2010 წელს ჩაეყარა. წლებიანდელი გამოსვლა ადამიანის უფლებების მეტად დაცვის ამბიციით და ამ მიმართულებით კონკრეტული ინიციატივებით გამოირჩეოდა, რაც ძალიან კარგ პირობას ქმნის, სამომავლოდ, ევროკავშირის პოზიციების მეტად გამყარებისთვის - როგორც ევროპის კონტინენტზე, ისე მსოფლიო მასშტაბით.

როგორ იცავენ კანონის უზენაესობას ევროკავშირის ქვეყნები? - ევროკომისიამ, წელს პირველად, შეფასებითი სახის ანგარიში გამოაქვეყნა



ფოტო: https://ec.europa.eu/info/index_en

„დემოკრატიის ბუნებრივი ნაკლოვანებაა ის, რომ ვინც მისი ერთგულია, მას ხელეობს უბოჭავს, ხოლო ვინც არ არის მისი ერთგული, თითქმის ყველაფრის საშუალებას აძლევს“ – ვაცლავ ჰაველის სწორედ ამ სიტყვებით დაასაბუთა ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა და ევროკომისარმა ევროპული ღირებულებების საკითხებში, ვერა ჟუროვამ ევროპული კომისიის გადაწყვეტილების მართებულობა, ყოველწლიურად მომზადდეს ანგარიში ევროკავშირის სივრცეში კანონის უზენაესობის მდგომარეობის შეფასების თაობაზე. ანგარიშის უმთავრესი მიზანი პრობლემების ადრეულ ეტაპზე - დროულად იდენტიფიცირებაა, ასევე, ევროპული ქვეყნების „კარგი პრაქტიკის“ ჩვენება. რიგით 1-ელი ასეთი ანგარიში ევროკომისიამ მიმდინარე წლის 30 სექტემბერს გამოაქვეყნა და იგი აფასებს გაერთიანების 27-ვე წევრ ქვეყანაში კანონის უზენაესობის მხრივ არსებულ მდგომარეობას ოთხი ძირითადი კრიტერიუმით: *სასამართლო დამოუკიდებლობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ძალთა ბალანსი ხელისუფლების შტოებს შორის და მედიის თავისუფლება და პლურალიზმი*.

ანგარიშის თანახმად, კანონის უზენაესობის მხრივ, საერთო ჯამში, ევროკავშირის ქვეყნებს შორის განსაკუთრებით პრობლემატურია ვითარება უნგრეთში, პოლონეთსა და ბულგარეთში.

კერძოდ, სასამართლოს დამოუკიდებლობის ნაწილში ევროკომისიის ანგარიშში აღნიშნულია განსაკუთრებით რთული მდგომარეობა უნგრეთსა და პოლონეთში, ასევე, პრობლემატურია ვითარება რუმინეთში, ხორვატიასა და სლოვაკეთში. ამასთან, კოვიდ-19-ის გლობალური პანდემიის ფონზე, ევროკომისია დადებითად აფასებს მართლმსაჯულების სისტემის დიჯიტალიზაციის პროგრესს ესტონეთში, ლიეტუვაში, სლოვენიაში, უნგრეთში, პორტუგალიასა და იტალიაში.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით კი, ევროპული კომისია მიესალმება ევროკავშირის წევრი ათი ქვეყნის მიერ მიღებულ ანტიკორუფციულ ეროვნულ სამოქმედო გეგმებს; ამავდროულად, ანგარიშში ხაზგასმულია კორუფციის თაობაზე სასამართლო საქმეების წარმოების ეფექტურობასთან დაკავშირებული პრობლემები, უმეტესწილად, ბულგარეთში, ხორვატიასა და სლოვაკეთში, ასევე, ჩეხეთში, უნგრეთსა და მალტაში.

ცნობისთვის, კორუფციასთან დაკავშირებულ საკითხებს პრობლემატურად მიიჩნევს, ასევე, თავად ევროკავშირის მოსახლეობაც. მაგალითად, 2020 წლის ივნისში გამოქვეყნებული „ევრობარომეტრის“ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის [თანახმად](#), ევროკავშირის მოსახლეობის 71%-ი ფიქრობს, რომ მათ ქვეყნებში გავრცელებულია კორუფცია, ხოლო გამოკითხულთა 42%-ის მოსაზრებით კი, უკანასკნელ წლებში კორუფცია გაიზარდა.

რაც შეეხება მედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის მიმართულებას, ამ მხრივ, ევროკომისიის ანგარიშში, სხვა საკითხებთან ერთად, ხაზგასმულია მედიის პოლიტიზირებასთან, სარედაქციო დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრობლემური ვითარება, ძირითადად, უნგრეთში, პოლონეთსა და ბულგარეთში.

ნიშანდობლივია, რომ მოცემული ანგარიშის გამოქვეყნებას ევროკავშირში წინ უძღოდა ე.წ. მრავალწლიან ბიუჯეტზე (2021-2027 წლ.) შეთანხმება, რომლის ფარგლებში, პირველად ევროკავშირის ისტორიაში, ამა წლის ივლისში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შესაბამისი ფინანსური პაკეტი პოსტ-პანდემიურ კრიზისთან გასამკლავებლად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე გადანაწილდეს იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად სცემენ აღნიშნული ქვეყნები პატივს კანონის უზენაესობასა და ზოგადად, ევროკავშირის ღირებულებებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში კანონის უზენაესობის მეტად დაცვის საკითხი განსაკუთრებით პრიორიტეტულად ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა ჯერ კიდევ თავისი მანდატის დასაწყისში - 2019 წელს დაასახელა და ამ მიმართულებით, ევროკავშირი რიგი ინიციატივების განხორციელებას გეგმავს, სამომავლოდ, მათ შორის, პარტნიორი ქვეყნების მისამართით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებითია, ერთი მხრივ, **საქართველომ**, როგორც რეგიონში ევროკავშირის მთავარმა პარტნიორმა ქვეყანამ, გადადგას მეტად ქმედითი ნაბიჯები მართლმსაჯულების სისტემის მეტი პროგრესისთვის, მეორე მხრივ კი, ევროკავშირმა დაიწყო დიფერენცირებული სახის ურთიერთობები მის პარტნიორ სახელმწიფოებთან „აღმოსავლეთ პარტნიორობიდან“ და სწორედაც კანონის უზენაესობის შეფასების ზემოაღწერილი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

ცნობისთვის, დღეის მონაცემებით, კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, საქართველო „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ [კორუფციის აღქმის ინდექსში](#) 44-ე ადგილს იყოფს ჩეხეთთან, ლატვიასთან და კოსტა-რიკასთან ერთად მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის და აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო მოწინავე პოზიციაზე იმყოფება, ვიდრე ევროკავშირის წევრი რვა ქვეყანა - მალტა, იტალია, სლოვაკეთი, საბერძნეთი, ხორვატია, რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი და ევროკავშირის პარტნიორი ყველა სახელმწიფო - როგორც „დასავლეთ ბალკანეთის“ რეგიონის, ისე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში.

საერთაშორისო ორგანიზაციის - „რეპორტიორი საზღვრებს გარეშე“ 2020 წლის [პრესის თავისუფლების ინდექსში](#) კი საქართველო მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის მე-60 ადგილს იკავებს და აღნიშნული პოზიციით იგი წინ არის, ვიდრე ევროკავშირის წევრი ხუთი ქვეყანა - პოლონეთი, საბერძნეთი, მალტა, უნგრეთი, ბულგარეთი და ასევე, მისი პარტნიორი ყველა სახელმწიფო - როგორც „დასავლეთ ბალკანეთის“ რეგიონიდან, ისე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროექტიდან.